„ყური დაუგდეთ, ასპინძის ადგილის დედა ჩურჩულობს...”

ლევან ასათიანი

ასპინძის მუნიციპალიტეტი * ოქტომბერი. 2020 * (8)65

სამცხე-ჯავახეთის სამხარეო ადმინისტრაციაში

სამცხე-ჯავახეთის მხარეში სახელმწიფო რწმუნებულმა ბესიკ ამირანაშვილმა COVID-19-თან დაკავშირებით შეხვედრა გამართა რეგიონის საკოორდინაციო სამუშაო ჯგუფთან, რომელსაც ესწრებოდნენ ძალოვანი უწყების წარმომადგენლები, მუნიციპალიტეტის მერები, დაავადებათა კონტროლის რეგიონული სამსახურის წარმომადგენლები და საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურის ხელმძღვანელები.

შეხვედრის მონაწილეებს გააცნეს რეგიონში არსებული ეპიდ-ვითარება და გაიცა შესაბამისი რეკომენდაციები ბაზრებსა და სავაჭრო ობიექტებში, აგრეთვე საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაადგილების დროს დადგენილი წესების დაცვის მონიტორინგის გამკაცრების შესახებ.

ასევე ვირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით დაევალათ ადგილობრივ თვითმმართველ ორგანოებს ადგილობრივი ჯანდაცვის სამსახურებთან ერთად განახორციელონ შესაბამისი მოკვლევები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტებში მოგზაურობის ისტორიის მქონე ინფიცირებულთა საეჭვო კონტაქტების თაობაზე.

სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია მოუწოდებს რეგიონის მოსახლეობას, მკაცრად დაიცვას რეკომენდაციები, მოერიდნენ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებს და თავი შეიკავონ მაღალი საფრთხის მქონე რეგიონებში მოგზაურობისაგან.

მუნიციპალიტეტის საკრებულოში გაიმართა დისტანციური სხდომა

მიმდინარე წლის 18 სექტემბერს გაიმართა მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი დისტანციური სხდომა.

საკრებულოს სხდომის ფარგლებში დეპუტატებმა, დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები განიხილეს;

1. ასპინძის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სსიპ ,,იურიდიული დახმარების სამსახურისთვის“ გადაცემაზე ასპინძის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე;

2. ასპინძის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემა, ასპინძის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს.კ. 60.10.34.522) გურამ ქამადაძისთვის იჯარის ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის შესახებ;

3. ასპინძის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემა, ასპინძის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს.კ. 60.10.34.520) საბრი ქამადაძისთვის იჯარის ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის შესახებ;

4. ასპინძის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემა ასპინძის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე (ს.კ. 60.13.01.339 და 60.13.32.037) იაკობ ოთანაძისთვის იჯარის ხელშეკრულებების ვადაზე ადრე შეწყვეტის შესახებ;

დეპუტატებმა წარმოდგენილი საკითხები ხმათა უმრავლესობით დაამტკიცეს, რის შემდეგაც საკრებულოს თავმჯდომარემ მამუკა მელიქიძემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

მაკა ბერიძე

საპარლამენტო არჩევნების შესახებ

საქართველოს პარლამენტის 2020 წლის 31 ოქტომბრის არჩევნებთან დაკავშირებით, N39 ასპინძის საოლქო საარჩევნო კომისია 1 სექტემბრიდან (არჩევნების გამოცხადების დღიდან) აქტიურად ჩაერთო არჩევნების მომზადებისა და ორგანიზების პროცესში. N39 ასპინძის საოლქო საარჩევნო კომისია წარმოადგენს N17 მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქის დამხმარე ოლქს, რომლის შემადგენლობაში შედის 23 საუბნო საარჩევნო კომისია (ამომრჩეველთა მთლიანი რაოდენობა შეადგენს 9 831 ამომრჩეველს).

30 სექტემბერს მოხდა საუბნო საარჩევნო კომისიების გახსნა და პირველი სხდომების გამართვა, რაც გულისხმობს საუბნო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელი პირების (თავმჯდომარე, თავმჯდომრის მოადგილე და მდივანი) არჩევას; ასევე მოხდა ყველა უბანზე ამომრჩეველთა სიების გასაჯაროება და ეტაპობრივად – ამომრჩეველის მონაცემთა ბარათების დარიგება; კორონავირუსის (SARS-CoV-2) პანდემიით გამოწვეული



ინფექციის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით, ცესკოს მიერ მოხდა კენჭისყრის დღისთვის ზოგიერთი საარჩევნო ღონისძიებებისა და სანიტარულ-ჰიგიენური მოთხოვნების განსაზღვრა და საარჩევნო უბნებზე ვირუსის გავრცელების პრევენციის მიზნით სხვადასვა ღონისძიებების გატარება, კერძოდ, ყველა საარჩევნო უბანს გადაეცა ხელის სადეზინფექციო ხსნარი, პირბადეები, ხელთათმანები; კენჭისყრის შენობის შესასვლელთან განთავსებელია დეზობარიერები (კოლექტიური დაცვის საშუალება), სადეზინფექციო ხსნარის დისპანსერები და დისტანციის დაცვის სტიკერები. ყოველივე ეს ხელს შეუწყობს არჩევნების მშვიდ და შეუფერხებლად ჩატარებას. რაც შეეხება უბნის წევრებს, ყველა უბანი დაკომპლექტებულია საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ არჩეული სხვადასხვა საარჩევნო სუბიექტის მიერ დანიშნული 6-6 წევრისაგან.

საუბნო საარჩევნო კომისიების თორმეტივე წევრს ოთხ ეტაპად ჩაუტარდებათ ტრენინგები, რომელთაგან პირველი ეტაპი უკვე განხორციელდა, რაც უზრუნველყოფს არჩევნების მაღალ დონეზე ჩატარებას

ნიკოლოზ ლოლაძე,

N39 ასპინძის საოლქო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე

შეიქმნა ახალი განყოფილება

საქართველოს ორგანულ კანონებში – ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი", ,,ბავშვის უფლებათა კოდექსი" და ,,სოციალური მუშაობის შესახებ" – შესული ცვლილებების ამოქმედებასთან დაკავშირებით ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის განყოფილება გარდაიქმნა „ბავშვის უფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის, ჯანმრთელობისა და სოციალური უზრუნველყოფის განყოფილებად".

განყოფილებაში დასაქმებული არიან ბავშვის უფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის სოციალური მუშაკი, ინსპექტორი, კოორდინატორი, ფსიქოლოგი, ჯანდაცვის სპეციალისტი და იურისტი.

ბავშვის უფლებათა დარღვევების ან ხელყოფის თაობაზე შეტყობინების შემთხვევაში, აღნიშნული განყოფილების სოციალური მუშაკი, ინსპექტორი, კოორდინატორი და ფსიქოლოგი, შესაბამის დაწესებულებებთან კოორდინაციაში ახდენენ რეაგირებას ბავშვის კანონიერი ინტერესების ხელყოფისაგან დაცვის მიზნით, ამასთან ატარებენ საჭირო პრევენციულ ღონისძიებებს მუნიციპალიტეტში სკოლამდელი აღზრდის და ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში.

განყოფილების ძირითადი ფუნქციაა მუნიციპალიტეტში ბავშვის უფლებათა დაცვისა და მხარდაჭერის ღონისძიებების განხორციელება.

ბუნებრივი აირი ყველა სოფელს!

როგორც ჩვენი გაზეთის მკითხველებმა იციან, უკანასკნელი წლებია მუნიციპალიტეტის მასშტაბით არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა მოსახლეობის როგორც სოციალური, ასევე ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით. თუმცა არც ისაა დასამალი რომ, დიდი ხანია ასპინძის მუნიციპალიტეტში შემოყვანილია გაზსადენი სისტემა, მაგრამ, გარდა ასპინძისა და რამდენიმე სოფლისა, ამ დიდი სიკეთით არ უსარგებლია სოფლის მოსახლეობის უმრავლესობას. რამდენიმე წლის ინტერვალის შემდეგ კი გაზიფიცირების პროგრამა დღის წესრიგში დადგა და აი სულ ახლახან, ამ მიმართებით გათვალისწინებული სამუშაო პროცესები განახლდა, რაც იმას ნიშნავს, რომ მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება მოსახლეობის ბუნებრივი აირით მომარაგება და ერთხელ და სამუდამოდ მოსახლეობა, სხვებთან ერთად, იმ დიდი სიკეთით ისარგებლებს, რასაც ბუნებრივი აირით მომსახურება ჰქვია, რითაც მნიშვნელოვნად შემცირდება ხე-ტყის საწვავად გამოყენების პრაქტიკა და შენარჩუნებული იქნება ჩვენი დიდი ეროვნული სიმდიდრე – ტყე.

მოსახლეობის გაზიფიცირების პროგრამის განხორციელებას აქტიურად აკვირდებიან მუნიციპალიტეტში და დიდ ყურადღებას აქცევენ მისი სწრაფი განხორციელების საქმეს. ამ მიზნით ამა წლის 24 სექტემბერს, ასპინძის მუნიციპალიტეტის მერი როსტომ მაგრაქველიძე და მერის მოადგილე ლევან ბერიძე მუნიციპალიტეტების სოფლებში გაზიფიცირების მიმდინარეობის პროცესებს გაეცნენ.

შპს „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის" მიერ გამოცხადებული ტენდერის მიხედვით, გაზიფიცირებისთვის საჭირო გაზსადენის მშენებლობა ასპინძის ექვს სოფელში – იდუმალაში, ოშორაში, საყუდაბელში, ორგორაში, ძველსა და ჭობარეთში აქტიურად მიმდინარეობს.

აღნიშნული პროექტის ფარგლებში ბუნებრივი აირით უახლოეს მომავალში მუნიციპალიტეტის დაახლოებით 2000-მდე ადგილობრივი მოსახლე ისარგებლებს.

გაზიფიცირების პროცესი მომდევნო წლებშიც გაგრძელდება და იგი მოიცავს მუნიციპალიტეტის მასშტაბით ყველა სოფელს.

დამთავრდა ინფრასტრუქტურული პროექტები

დასრულდა ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ საროსა და ჭობარეთის სკოლებში ინფრასტრუქტურული სამუშაოები.

აღნიშნულ სკოლებში მოეწყო თანამედროვე სტანდარტებზე გათვლილი ადაპტირებული სველი წერტილები და გათბობის სისტემა.

სამშენებლო სამუშაოებს სოფელ საროში აწარმოებდა ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს ,,ალმე", ხოლო სოფელ ჭობარეთში – შპს ,,გიორგი ჯინო 1972".

პროექტის მიზანია მუნიციპალიტეტის სკოლებში ნორმალური სასწავლო პირობების შექმნა.



იდუმალისა და ტოლოშის სკოლებში

დასრულდა ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ იდუმალის და სოფელ ტოლოშის სკოლებში ინფრასტრუქტურული სამუშაოები.

პროექტის ფარგლებში სოფელ იდუმალის სკოლაში მოეწყო თანამედროვე სტანდარტებზე გათვლილი ადაპტირებული სველი წერტილები, რომელსაც ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს ,,ფასადი" აწარმოებდა.

ასევე შეიცვალა საკლასო ოთახების კარებები და კაპიტალურად შეკეთდა სკოლის ღობე.

სამშენებლო სამუშაოებს აწარმოებდა ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს ,,ალმე".

კიდევ ერთი პრობლემა მოიხსნა

ასპინძის მუნიციპალიტეტის სოფელ ოშორაში აქტიურად მიმდინარეობს მდინარე ,,ოშორულაზე" მილხიდის მოწყობის სამუშაოები.

სამუშაოების მიმდინარეობის პროცესს ადგილზე ასპინძის მუნიციპალიტეტის მერი როსტომ მაგრაქველიძე და მერის მოადგილე ლევან ბერიძე გაეცნენ.

წლების განმავლობაში აღნიშნულ ტერიტორიაზე უამინდობისა და წვიმების დროს გზის სავალი ნაწილი ხშირად იტბორებოდა, რაც ადგილობრივებს სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთებთან გადაადგილებაში ხელს უშლიდა.

სამშენებლო სამუშაოებს ტენდერში გამარჯვებული კომპანია შპს ,,საგზაო სამშენებლო სამმართველო N2" აწარმოებს, რომელიც განსაზღვრულ ვადებში დასრულდება.

გიორგი ხიზამბარელი

ლეგენდარული მოჭიდავე გიორგი ხიზამბარელი, გადმოცემის მიხედვით, ხიზაბავრაში დაბადებულა. მისი მამა დავითი თურქთა ძალმომრეობას განრიდებია და ხიზაბავრიდან ნოსტეში გიორგი სააკაძისთვის შეუფარებია თავი. სოფელზე უზომოდ შეყვარებულ კაცს გვარი გამოუცვლია და ხიზამბარელად დაწერილა. ასევე ხიზამბარელი გამხდარა მისი შვილი გიორგი, რომელიც გიორგი სააკაძის მეთვალყურეობის ქვეშ იზრდებოდა.

გიორგი ხიზამბარელს დიდად გაუთქვამს სახელი იმ პერიოდის საქართველოში, – მას არა ერთი ცნობილი ფალავანი წაუქცევია.

ხიზამბარელის ვაჟკაცობაზე ბევრ ცნობილ ადამიანს აქვს დაწერილი.

ხიზამბარელთა შთამომავლობამ მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევრამდე მოაღწია, ერთ-ერთი მათაგანი ყოფილა ძველი თბილისის უძლიერესი ფალავანი დათა ხიზამბარელი.

იაკობ ვარძიელი

იაკობ მიხეილის ძე ვარძიელი დაიბადა 1852 წელს სოფელ ხიზაბავრაში. სწავლობდა ჯერ ხიზაბავრის დაწყებით სკოლაში, შემდეგ ბათუმის გიმნაზიაში, რომელიც 1913 წელს დაამთავრა.

იმავე წელს იგი შედის მოსკოვის უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე, რომელსაც ამთავრებს 1918 წელს.

1917 წლიდან იგი მუშაობას იწყებს მოსკოვში, იყო ხაშოვნიჩის მილიციის კომისარი, მოსკოვის საბჭოს ადმინისტრაციული განყოფილების გამგე.

1920 წელს ვარძიელი საქართველოში ჩამოდის, როგორც რუსეთის ფედერაციის კომისარი.

1922 წელს იგი ინიშნება მოსკოვისა და მოსკოვის გუბერნიის უფროსად, ხოლო 1922 წლის დეკემბრიდან მუშაობს ქალაქ მოსკოვის „კრასნაია პრესნაიას“ რაიონის სასამართლო კოლეგიის თავმჯდომარედ.

1923 წელს საქართველოს იუსტიციის სახალხო კომისარია, შემდეგ, სხვადასხვა დროს, – საქართველოს პროკურორი, ცაკის მდივნი, ამიერკავკასიის სფსრ მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისრის მოადგილე, ამიერკავკასიის სახკომსაბჭოს საქმეთა მმართველია. გარდაიცვალა 1938 წელს.

ჯვარიძეების გვარის ისტორია



დასასრული. დასაწყ. იხ. N 5-7

ომის დამთავრების შემდეგ ქვეყანაში სიტუაცია მნიშვნელოვნად გამოსწორდა და შიმშილობის პრობლემაც მოიხსნა.

პავლეს მესამე შვილს, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სპირიდონი რქმევია, მის შვილებს – კონსტანტინე, თევდორე, დემეტრე და ეფრემი. ეფრემი მღვდლად მსახურობდა სოფელ ჭობარეთის ეკლესიაში, ყოფილა ძალიან განათლებული და გულისხმიერი ადამიანი; დემეტრე ჯვარიძეს სოფლის მამასახლისად უმსახურია; კონტანტინე კი ძალიან მოხერხებული და გამჭრიახი გონების ადამიანი იყო. მასთან დაკავშირებით ერთ საინტერესო ამბავს წარმოგიდგენთ: იგი ასპინძაში ჩამოსულა ოჯახის საქმეზე. უკან დაბრუნებისას, ახაშენის ხიდი უნდა გადმოევლო. როცა ხიდზე შემდგარა, ახაშნელი თათრები ამ დროს ვიღაცის ერდოზე იდგნენ თურმე და უთქვამთ: ჭობარელი კოსტანაი მოდის და მაგას სიტყვაში ვერავინ მოუგებსო. ამათგან ერთ-ერთი თათარი, რომელსაც სახელად რაჭა რქმევია, ნიძლავი დაუდია ბატკანზე, – კოსტანას სუფრასთან დავსვამ და პურს არ ვაჭმევო. როცა კოსტან პაპა მათ მიუახლოვდა, რაჭამ სახლში შეიპატიჟა. კოსტან პაპას თავიდან არ გაჰკვირვებია, რადგან ახაშნელი თათრებიც ხომ, ოდესღაც, ქართველები ყოფილან და სტუმარ-მასპინძლობაც იცოდნენ, მაგრამ, როცა სახლში შესულან, ცნობისმოყვარეები– ზოგი ერდოდან მოადგნენ, ზოგიც – კარებთან ატუზულან. კოსტან პაპა მიმხვდარა, რომ საქმე რაღაცაში იყო და როცა სუფრას მიუსხდნენ, მაშინდელი წესის მიხედვით, რაჭამ თათრული რიტუალი ჩაატარა და თქვა: ახლა მივირთვათ პურ-მარილიო. ერთი ნაჭერი პური რომ მოტეხა, – მოულოდნელად, პურის ჭამის დამთავრების რიტუალი ჩაატარა და მასპინძლებიც ფეხზე წამოდგნენ, სადილის დამთავრების ნიშნად. მოულოდნელად, კოსტან პაპამ ნირი არ შეიცვალა, იმანაც ჩაატარა თათრული რიტუალი, ფეხზე წამოდგა, ქუდი მოიხადა, ვითომ არაფერიო, პურის ჭამის დაწყების ქართული რიტუალი ჩაატარა და თქვა: აქამდე თათრული წესით ვჭამეთ პური, ახლა კი, უფლის ნებით, ქართული წესით გავაგრძელოთ პურის ჭამაო. თათარმა რაჭამ ნიძლავი წააგო და იძულებული გამხდარა, იმავე საღამოს, ბატკანი დაეკლა.

სპირიდონ ჯვარიძის შთამომავალი იყო ონისიმე (ონისე) ჯვარიძე, რომელიც რევოლუციონერებთან კავშირში იყო და, საქართველოს გასაბჭოების შემდეგ, თბილისის ერთ-ერთი რაიონის აღმასკომის თავმჯდომარედ დაუნიშნავთ. მას ცოლად ბერძენი ეროვნების ქალი ჰყოლია. ცოტა ხანში ონისიმე დაუპატიმრებიათ, კონტრრევოლუციონერებთან კავშირის ბრალდებით და მეტეხის ციხეში ჩაუსვამთ. მის ცოლს ეს ამბავი ჭობარეთში მცხოვრები ნათესავებისთვის შეუტყობინებია. კოსტან პაპა თბილისში წასულა, მეტეხის ციხეში მისულა და მოუკითხია ონისიმე. იქ ვიღაცას უთქვამს, – აქედან წადი, შარი არ აიკიდო და თავი არ გაიუბედურო, ეს კაცი ისეთი ბრალდებით არის დაპატიმრებული, შენც მის გვერდით აღმოჩნდებიო. მაგრამ კოსტან პაპას ყური არ უთხოვებია და მაინც მოუხერხებია მასთან შეხვედრა. ონისიმეს უთქვამს: შენ მე ვერ მიშველი და ჩემს ოჯახს მაინც მიმიხედეო. კოსტან პაპას ყველანაირად უცდია მისი ციხიდან დახსნა, მაგრამ ვერაფერს გამხდარა. ონისე ჯვარიძე, სავარაუდოდ, დაუხვრეტიათ, მის ოჯახს კი კონსტანტინე ყურადღებას არ აკლებდა.

ომის დამთავრების შემდეგ ცხოვრება ჩვეული რიტმით გაგრძელებულა. სოფლელები კოლმეურნეობაში დაუსაქმებიათ, მაგრამ შემოსავალი საკმარისი რომ არ ჰქონდათ, ე.წ. ყაზახეთში – „ყამირ მიწებზე“ გარე სამუშაოებზე, წასულან. ჯვარიძეების გვარის ბევრი ახალგაზრდა იქვე დაქორწინებულა და საცხოვრებლად ყაზახეთში დარჩენილან, ზოგიერთი მომთაბარეობდა, – გაზაფხულობით ჩამოდიოდნენ და გვიან შემოდგომით ბრუნდებოდნენ უკან. ისინი, ძირითადად, კუსტანაის ოლქში დადიოდნენ სამუშაოდ, ზოგმა უკეთესი ცხოვრება მოინდომა და სხვადასხვა ქალაქებშიც დასახლდნენ, მათ შორის – ნოდარ (ბაჩო) ჯვარიძე, რომელიც სამუშაოს საძებნელად ალმა-ატის ოლქში გადავიდა, სადაც ურჩიეს, თურმე, – ქალაქ კასკელანში გადასულიყო, რადგან ახალი ქალაქი იყო და ბევრი სამუშაო იშოვებოდა. იგი გვიან იხსენებდა: „როცა კასკელანის ავტოსადგურში ჩავედი, თავი ახალციხეში მეგონა, სულ ჩვენებური გარეგნობის ხალხი მიდი-მოდიოდა. ერთს რუსულად ვკითხე, – სადაური ხარო და, რუსულადვე მიპასუხა – ხეოთელიო. კი, მაგრამ, ხეოთში ყველას ვიცნობ და შენ არ მინახიხარ, ქართულად ვუთხარი. მან გაიცინა და დამტვრეული ქართულით მითხრა, რომ მე აქაური ხეოთელი ვარ და შენ სადაურიო? მეც ვუპასუხე, – ჭობარელიო. აღმოჩნდა, რომ, თურმე, ეს ქალაქი ე.წ. „თურქი-მესხებით“ ყოფილა დასახლებული და სტალინის პერიოდში ასპინძისა და ახალციხის რაიონებიდან გადასახლებული ხალხი ცხოვრობდა. ხეოთელმა სახლში სიხარულით მიმიპატიჟა, – პაპაჩემს გაეხარდება შენი ნახვაო. როცა გაიგეს, ვინ ვიყავი, ყველამ ჩემი თავისთან წაყვანა მოინდომა, რომ თავიანთი მოხუცი პაპებისა და ბებიებისთვის ვენახებინე. მეკითხებოდნენ თავიანთი სოფლების შესახებ, აქა და აქ ჩვენი ჭანჭურის ხეები იყო გაშენებული, აქ – კაკლის, აქ – ჩვენი „დოსტი“ ცხოვრობდაო... ერთი მოხუცი კაცი მოვიდა, რომ გაეგო, ჭობარელი ვიყავი და მკითხა: ვისი შვილი ხარო. რომ ვუთხარი, ბადალიენთი-მეთქი, გახარებულმა მითხრა: ბადალიენი ჩვენი დოსტები იყვნენ და ლუკა პაპასთან ყველაზე მეტად ჩვენი ოჯახი მეგობრობდაო. მე ვუთხარი – ლუკას შვილისშვილი ვარო. ეს რომ გაიგო , ძალიან გაეხარდა და მითხრა: – მე ყარა-ყიზის შვილი ვარ, ანუ იმ ორცეფელი ქურთების შთამომავალი, რომელთა ოჯახმაც თალანის დროს ბადალიენი შეიფარა და გადაარჩინა. ამ კაცმა წამიყვანა თავისთან და აღმოჩნდა, რომ ყარა ყიზი, ორი წელია რაც გარდაიცვალა.

ნოდარი ასევე იხსენებდა, რომ ყარა-ყიზი, მათივე გადმოცემით, სიკვდილის ბოლო წუთამდე, თურმე, ჩვენი ოჯახის ხსენებაში ყოფილა და ძალიან ვენატრებოდითო. ყველა ტიროდა, მე რომ მხედავდნენ. ერთმა ხეოთელმა თავის ბაღში მიმიყვანა და ჭანჭურის ხე მაჩვენა, ხმელი ჭანჭური გვქონდა წამოღებული, კურკები ჩავრგეთ და მხოლოდ ამან გაიხარა და მთელი ხალხი მას უვლიდა-თურმე, – სამშობლოს გვაგონებსო. ნოდარი ასევე იხსენებდა – სამუშაოს ვეძებდი, მაგრამ სამი კვირის განმავლობაში ყველას ოჯახიდან ოჯახში გადავყავდიო.

გასულ წელს ჯვარიძეების გვარი დალოცა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ, დაიწერა ჯვარიძეების გვარის ხატი, შეიქმნა გერბი და დროშა. გვარის დევიზია: „ბრძოლა, შრომა და ლოცვა“. დროშის, ხატისა და გერბის შექმნის ინიციატორი გენადი ჯვარიძეა, რომელსაც გვერდში დაუდგნენ ახალგაზრდა ჯვარიძეები. დღეს ჯვარიძეები ქვეყნისთვის ბევრ სასიკეთო და საზოგადო საქმეებს ეწევიან. კერძოდ, სპარტაკ ჯვარიძე ეკლესია-მონასტრების საუკეთესო რესტავატორია. მან აღადგინა ჭობარეთის სიახლოვეს მაჭიხეთის ეკლესია, ასევე – ახაშენის ეკლესია და სხვა მრავალი. ასევე, ეკლესიის მშენებლები არიან გელა და თორნიკე ჯვარიძეები, რომლებიც ამჟამად ბაიების მონასტრის აღდგენა-რესტავრაციას ეწევიან ურავლის ხეობაში. გვყავს სახალხო მთქმელი ზაურ გიორგის ძე ჯვარიძე, რომლის ლექსებმა დიდი პოპულარობა მოიპოვა და სისტემატურად იბეჭდება გაზეთ „ლიტერატურული მესხეთის“ ფურცლებზე.

ასე დავასრულოთ ჯვარიძეების გვარის ისტორია ამ ეტაპისთვის. ღმერთმა ამრავლოს ქართველი ერი, ყველა გვარი და მათ შორის – ჯვარიძეები.

გიორგი ჯვარიძე

ჯარტოფილის შენახვის ტექნოლოგია

კარტოფილის მოსავლის აღების მთავარი მაჩვენებელია კარტოფილის სიმწიფე: მცენარის დაბერება, კარტოფილის ტუბერის კანი უნდა იყოს გამძლე, მოსავლის აღების დროს კანი აღარ იხეხება, ხოლო კარტოფილის ხარისხიანი შენახვა დამოკიდებულია სამ ძირითად ფაქტორზე; ტემპერატურულ რეჟიმზე, ჰაერის ტენიანობასა და ჟანგბადზე.

ფერმერულ მეურნეობებში რეკომენდებულია – კარტოფილის მოსავლის აღებისთანავე მოსავალი არ შევიტანოთ საწყობში. აუცილებელია მისი გაგრილება მოხდეს გარეთ, გადაირჩეს დიდი ყურადღებით, რათა საწყობში არ შეჰყვეს დაზიანებული და დაავადებული ტუბერები, ამით ვუზრუნველყოფთ მინიმუმამდე დავიდეს მოსავლის ლპობა.

კარტოფილის მოსავლის აღების შემდეგ ტუბერი 40-45 დღის განმავლობაში განაგრძობს დამწიფებას, ამ პერიოდში მოსავლის აღებისას მიყენებული დაზიანება თანდათან ხორცდება, კანი მაგრდება და გემო უმჯობესდება. ჰაერის ოპტიმალური ტემპერატურა ამ პერიოდში უნდა იყოს 18-190C-სი, თუმცა შეიძლება (ამინდის გამო) დაეცეს 11-130 C-მდე, ტენიანობა – 90-95%. ამ დროის განმავლობაში სასურსათე კარტოფილი უნდა ინახებოდეს სიბნელეში, ხოლო სათესლე შესაძლებელია შევინახოთ სინათლეზეც. აღნიშნული პერიოდის ამგვარ პირობებში თავს იჩენს ტუბერის ყველა ფარული დეფექტი, ამიტომ ხანგრძლივი დროით შესანახად (დაბინავებამდე) ისინი უნდა გადავარჩიოთ, დაზიანებული და დაავადებული ტუბერები კი მოვაშოროთ.

სასურსათე კარტოფილის ხანგრძლივი შენახვისთვის საჭიროა უფრო დაბალი ტემპერატურა – 2-30 C-სი, მცირე დროით შენახვისათვის (2-3 თვე) ტემპერატურა შესაძლებელია იყოს უფრო მაღალი, მაგრამ არა უმეტეს 5-70C-ისა. კარტოფილის ხანგრძლივი შენახვის დროს ტენიანობა უნდა იყოს 85-93%. თუ ტენიანობა უფრო მაღალია, ტუბერი ნაადრევად ღვივდება, ხოლო 70% ტენიანობის პირობებში „რბილდება.

ვენტილაცია კარტოფილის ხარისხიანად შენახვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა. უჟანგბადო გარემოში ტუბერი იგუდება და ფუჭდება. ხოლო ჟანგბადის სიმცირისას შავდება რბილობი (პირველ რიგში გული). მოსახერხებელია ბადისებრი ტომრები, რომლებშიც კარგად ხდება ვენტილაცია. ტომრები უმჯობესია დავაწყოთ შტაბელებად 1-1,5 მეტრის სიმაღლეზე.

აგრეთვე გასათვალისწინებელი ფაქტორებია საოჯახო საწყობებში: კარტოფილმა შეიძლება „მიწის“ სუნი გადასდოს ვაშლს და მსხალს თუ ჰაერის ვენტილაცია სათანადო არ არის. კარტოფილმაც შეიძლება მიიღოს სხვა არომატი სხვა პროდუქტებისაგან.

ამჟამად დაბა ასპინძაში შ.პ.ს მტპ-ს მიერ მოწყობილია და ფუნქციონირებს სასაწყობე მეურნეობა 800 კვ.მ. ფართობზე. აქედან 200კვ.მ. არის სამაცივრე მეურნეობა, რომელიც ასაწყობებს 100 ტ. კარტოფილს, ხოლო 600კვ.მ საწყობი სათავსო – ასაწყობებს 400-500 ტ. კარტოფილს. სასაწყობე მეურნეობა მოსახლეობას კარტოფილის შენახვასთან ერთად სთავაზობს კარტოფილის დახარისხებას.

ოლღა გერიძე-ველიჯანაშვილისა,
ასპინძის საინფორმაციო საკონსულტაციო ცენტრის წამყვანი სპეციალისტი

ᲬᲐᲠᲡᲣᲚᲘᲡ ᲬᲣᲠᲪᲚᲔᲑᲘ

ᲡᲐᲡᲐᲦᲘᲠᲝ ᲞᲐᲕᲘᲚᲘᲝᲜᲘ ᲐᲡᲞᲘᲜᲫᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲨᲘ

ᲒᲐᲡᲣᲚᲘ ᲡᲐᲣᲙᲣᲜᲘᲡ 70-ᲘᲐᲜᲘ ᲬᲚᲔᲑᲘ

„შეაყარე კედელს ცერცვი“ ანუ დროა მეტი პასუხისმგებლობა გამოვიჩინოთ!

ᲠᲔᲞᲚᲘᲙᲐ

ძვირფასო მკითხველო,

აი ეს მერამდენედ გვიწევს ამ საკითხზე საუბარი, მაგრამ, როგორც ქართული ანდაზისა არ იყოს, „შეაყარე კედელს ცერცვი“, მდგომარეობა არა და არ იცვლება, პირიქით კი ხდება და განმკითხავი არავინ არ არის.

გადავხედოთ ავტოსაგზაო შემთხვევების სტატისტიკას და დამერწმუნებით, რა საგანგაშო მდგომარეობის წინაშე ვდგავართ!. ეს, რა თქმა უნდა, პირველ რიგში უკანასკნელ ხანებში ეგრერიგად გახშირებულმა, ე.წ. „ტრაილერების“ მომრავლებამ და, მეორეს მხრივ საგზაო მოძრაობაზე მკვეთრმა უკონტროლობამ რომ გამოიწვია, ესეც ცხადია.

ვისაც კი ხშირად უწევს ასპინძა - ახალციხის მიმართულებით მგზავრობა, ყველა დამეთანხმება, რომ ჯოჯოხეთის გზებზე უხდებათ ადგილობრივ ავტოსატრანსპორტო საშუალებების მფლობელებს გავლა, რომ დანიშნულების ადგილს უსაფრთხოდ მიაღწიონ. „ტრაილერების“ კოლონები ისე კეტავენ გზებს, შეუძლებელი ხდება გადასწრება. მე ამჟამად ჩვეულებრივი მგზავრის თვალით დანახულ ერთ-ორთვიან სტატისტიკაზე მინდა შევაჩერო თქვენი ყურადღება და თავად დარწმუნდებით, რომ ასე ცხოვრება უკვე შეუძლებელია და არავინ იცის ხვალინდელი დღე რას გვიქადის.

სულ ცოტა ხნის წინ რამდენიმე ავტოსაგზაო შემთხვევა სოფელ რუსთავის შესასვლელთან და მის სიახლოვეს მოხდა, რის შედეგადაც მძიმედ დაშავდა სამი მგზავრი, ასევე ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა როგორც სოფელ იდუმალასთან, ასევე ე.წ. მეშვიდე კილომეტრზე და ა.შ. ყველას აღარ ჩამოვთვლი, მუნიციპალიტეტში მცხოვრებლებმა ეს ფაქტები კარგად იციან, აქ მხოლოდ ერთ ფაქტზე ვამახვილებ ყურადღებას – ავტოსაგზაო შემთხვევების უმეტესობა „ტრაილერების“ გამოისობით არის.

აბა დააკვირდით – მთელი კოლონები ისე მოძრაობენ, რომ არ იცავენ დისტანციებს, გზები იკეტება და ისედაც ავარიულ მონაკვეთებზე ყოველ წუთს მოსალოდნელია ავტოსაგზაო შემთხვევები..

აქვე ერთ ფაქტზეც მინდა შევაჩერო მკითხველის ყურადღება: არაერთხელ გვითქვამს, რომ დაბის ცენტრში, „ლიბერთი ბანკის“ შენობიდან დაწყებული ე.წ. დეკორატიული კიბეების დასაწყისამდე (მკვეთრი მოსახვევის მიუხედავად) კვლავ მაღალი სისწრაფით მოძრაობენ ავტომანქანები და ასევე იქმნება ავტოსაგზაო შემთხვევების საშიშროება.

ეს ფაქტები, პირველ რიგშია გასათვალისწინებელი და ვის კომპეტენციასაც წარმოადგენს მისი დაცვა და საჯარიმო სანქციების გატარება, მეტი პასუხისმგებლობით უნდა ეკიდებოდნენ მინდობილ საქმეს. კარგად უნდა გვახსოვდეს, რომ ვინც თავის მოვალეობას ჯეროვნად არ ასრულებს, მით უფრო ესოდენ საპასუხისმგებლო მისიის შესრულებისას, ისინიც თავიანთი დაუდევრობით თანამონაწილეები ხდებიან ამ მეტად საშიში პროცესებისა.

ᲐᲕᲗᲐᲜᲓᲘᲚ ᲛᲔᲡᲮᲘ

ასპინძაში კორონავირუსთან დაკავშირებით, პრევენციული ღონისძიებები აქტიურად ხორციელდება

დღე არ გავა, საინფორმაციო საშუალებებით არ შევიტყოთ როგორც ქვეყანაში, ასევე მსოფლიო მასშტაბით პანდემიის თაობაზე შემაშფოთებელი ინფორმაციები, რაც დილემის წინაშე აყენებს თითოეულ მოქალაქეს და ისინიც ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ მკაცრად დაიცვან სპეციალისტების მითითებები და მოთხოვნები.

თითქმის ყველა შეეჩვია პირბადეების გამოყენებას დახურულ სივრცესა თუ საზოგადოებრივი ტრანსპორტით მგზავრობის დროს, აქტიურად იცავენ დისტანცირებას შესაბამის სახელმწიფო თუ კერძო სტრუქტურებში ვიზიტისას, თუმცა პანდემიამ მაინც საგანგაშო მდგომარეობა შექმნა ქვეყანაში. მართალია პირველმა ეტაპმა თითქოს უმტკივნეულოდ ჩაიარა და, როგორც იტყვიან, „თავი დავაღწიეთ“, მაგრამ კორონა-ვირუსის ეპიდემიის მეორე ეტაპმა ბევრი საფიქრალი გაგვიჩინა. ამიტომ ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები პრევენციულ ზომებს აქტიურად ატარებენ, რათა მინიმუმამდე შევამციროთ მოსალოდნელი პრობლემური პროცესები.

ასპინძა პანდემიის გავრცელების დაბალი დენით, თუმცა ყველა მუნიციპალიტეტთან შედარებით შესამჩნევად გამოირჩევა, იგი თვითდამშვიდების საშუალებას მაინც არ უნდა გვაძლევდეს. ყველამ უნდა გაითავისოს, რა პრობლემების შექმნა შეუძლია თვითდაჯერებას და, ამიტომ, მკაცრად უნდა დავიცვათ სპეციალსტთა ყველა რჩევა, დარიგება, რასაც შეუძლია უმტკივნეულოდ გამოგვიყვანოს ამ პროცესებიდან.

ამ მიზნით მუნიციპალიტეტის მერიის დიდი ძალისხმევით არ ნელდება პროფილაქტიკური ღონისძიებები და, აი, სულ ახლახან კვლავ განახლდა სადეზინფექციო სამუშაოები როგორც მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში, ასევე სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში, ადმინისტრაციულ შენობებსა თუ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებში.

აღნიშნული სამუშაოები საქართველოს ჯანდაცვის სამინისტროს რეკომენდაციების შესაბამისად ტარდება.

ᲤᲝᲚᲙᲚᲝᲠᲘ

მჯერა

ქართველთათვის იყო სამცხე,
ცოდნის კერა ამაგდარი.
ქვეყნის გამანათლებელი
და კულტურის კელაპტარი.

არ ჩავაქროთ, გავაღვივოთ
პოეზიის ნაპერწკალი,
ყველა მესხურ ოდაშია
რუსთაველის ნატერფალი.

მჯერა, კვლავაც შექმნის შედევრს,
ვინმე მესხი შოთას მგვანი,
რითაც ყველას განაცვიფრებს
ვითარც „ვეფხისტყაოსანი“.

მჯერა, წმინდა სიყვარულის
და მიჯნურთა ცრემლის ღვარის,
მჯერა, სულის ვაჟკაცურის
ქართველების მოდგმა-გვარის.

მჯერა, კვლავაც არ ჩაქრება,
ზეგრძნობათა ქარიშხალი,
ქაჯთა ციხეს კვლავ შელეწავს
მეგობრისთვის მეგობარი.

მჯერა, ვერცხლი არ გახდება
სულზე უფრო ფასეული,
მჯერა, კვლავაც აგვამაღლებს.
სიყვარულის სასწაული.

ჭობარეთი

პატარა საოცრებაა
ეს ჭობარეთი მზიანი,
შეზავებული ჰაერით,
ღვიის და ფიჭვის ტყიანი.

ამ დრომდე შემორჩენილი
წარსულის ნაშთებიანი,
იდუმალებით მოცული
გვირაბებ-დარნებიანი.
ძირძველი, ფუძემაგარი,
ბავშვიან-მოხუციანი,
ტრადიციების დამცველი,
წყნარი და მშვიდობიანი.
გამრჯე, მეურნე სოფელი
და დოვლათ-ბარაქიანი.
მესხური სულის სამჭედლო,
შვილთათვის ამაგიანი,
საიმედო და ამტანი,
პირიან-ნამუსიანი,
შრომაში გამობრძმედილი,
ზრდილი და თავაზიანი.
დიდხანს სტანჯავდნენ რჯულისთვის,
არ ჩანდა დასასრულია,
მაინც ვერ შეაცვლევინეს
ქართველობა და რჯულია.
გამრავლდი, ჩვენო სოფელო, –
სიმრავლე სიხარულია,
ასე ამბობდნენ წარსულნი,
აცხონოს მათი რჯულია.
ისწავლე, სწავლით ქებულო,
მესხო, რუსთველის ჯიშისავ,
წიგნი წყაროა ცოდნისა, –
სწავლა-წვრთნა არის ნიჭისა.
ღმერთი გფარავდეს, სოფელო,
მუდამ გეწეროს ჯვარია,
შური და მტრობა გაცილოს,
ძმამ ძმას უმაგროს მხარია.

ავტორ-მთქმელი

ᲖᲐᲣᲠ ᲯᲕᲐᲠᲘᲫᲔ,
სოფელი ჭობარეთი

ᲡᲞᲝᲠᲢᲘ

„მასტერ-ლიგა – 2020 -ის“ ფარგლებში მიმდინარეობს

მიმდინარე წლის 17 სექტემბერს, ასპინძის ცენტრალურ სტადიონზე, „მასტერ ლიგა 2020“ -ის ფარგლებში 7X7-ზე ფეხბურთის სამოყვარულო ჩემპიონატის მუნიციპალური თამაშები დაიწყო.

ჩემპიონატში მუნიციპალიტეტის მასშტაბით 8 გუნდი მონაწილეობს, 2 ჯგუფად და წრიული სისტემით.

პირველ თამაშში ერთმანეთს სოფელ დამალის და ძველის გუნდები დაუპირისპირდნენ. შეხვედრა ანგარიშით 5:1 დასრულდა, რომელშიც გამარჯვება ძველის გუნდმა მოიპოვა.

მეორე თამაშში ერთმანეთს სოფელ რუსთავისა და ივერიის გუნდები შეხვდნენ, დაძაბულ ბრძოლაში ანგარიში 2:2 ფრედ დამთავრდა.

აღნიშნულ ტურნირს ასპინძის მუნიციპალიტეტის მერი როსტომ მაგრაქველიძე, 7X7-ზე ფეხბურთის ასოციაციის ვიცე პრეზიდენტი ლაშა ჭეიშვილი და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

ტურნირი გაგრძელდება 25 ოქტომბრამდე და გამარჯვებული გუნდი რეგიონულ თამაშში მიიღებს მონაწილეობას.

თამაშებს ორგანიზებას საქართველოს 7X7-ზე ფეხბურთის ასოციაცია და ასპინძის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის სამსახური უწევენ.

ინფორმაციები მოგვაწოდა ასპინძის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საორგანიზაციო განყოფილების უფროსმა ეკა კალაიჯიშვილმა

ᲠᲔᲓᲙᲝᲚᲔᲒᲘᲐ